


სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის  
აჭარის ტელევიზია და რადიოს  
დირექტორის საქმიანობის  
ყოველკვარტალური ანგარიში

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35<sup>9</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ ყოველკვარტალურ ანგარიშს.

საანგარიშო პერიოდი:

2021 წლის

პირველი კვარტალი



## ბათუმი

### სარჩევი

1. შესავალი;
2. ჩვენი წინასწარი დაგეგმვა;
3. კვარტლის მიღწევა;
4. კვარტლის გამოწვევა;
5. „პროგრამა=პრიოტიტეტს“-შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:  
ტელევიზია - შედეგები და საჭიროებები;  
რადიო - შედეგები და საჭიროებები;  
ინტერნეტი - შედეგები და საჭიროებები;  
მონიტორინგის ანგარიშები.
6. იურიდიული მხარდაჭერა;
7. კვარტლის ტენდერები;
8. ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსები, სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა;
9. „შემდეგი თაობა“-სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა;
10. საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები;
11. მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა;
12. მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი;
13. ჩვენი სხვა აქტივობები;
14. სამომავლო რისკები და გამოწვევები;
15. გეგმები შემდეგი ანგარიშისთვის;

მაუწყებელი მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის შეესაბამის ნორმების საფუძველზე, ისე რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება მაქსიმალურად ხელშეუხებელია.

## შესავალი

წარმოგიდგენთ 2021 წლის პირველი კვარტალის (იანვარი, თებერვალი, მარტი) შედეგებს.

მაუწყებლის ვალდებულებებია:

- უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა, სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება;
- უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;
- საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები;
- პროგრამებში არ გამოხატოს თავისი აზრი;
- ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი;
- ეთერის არანაკლებ 25%-ისა დაუთმოს დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამებს, რომელთა შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“ კანონების შესაბამისად;
- პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება;
- ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები;
- გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტერესები, საარჩევნო კამპანიის პერიოდში და რეფერენდუმის/პლემბისციტის გამართვის დროს ეთერში გაშვებულ არჩევნებთან/რეფერენდუმთან/პლემბისციტთან დაკავშირებულ თავის გადაცემებში უზრუნველყოს სურდოთარგმანი;
- ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;
- სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები;
- უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (შემდგომ – ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის პოპულარიზაცია;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ.

### ჩვენი წინასწარი დაგეგმვა

2020 წლის მეოთხე კვარტალის მთავარი გამოწვევა იყო ტექნიკური პრობლემების მოგვარება.

ამოცანები:

- მაუწყებლის შენობის საკითხებზე კონსულტაციების გაგრძელება;
- თანამშრომელთა დისციპლინის ჩამოყალიბება;
- ვებგვერდის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;
- თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- სტუდიების განახლება;
- საჭიროებისამებრ სტრუქტურული დოკუმენტების შემუშავება;
- ვებ-გვერდის ცვლილება;
- საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ქ.თბილისის ბიუროსათვის გადაცემული ფართში ჯანსაღი სამუშაო პირობების უზრუნველყოფა;
- შიდა დოკუმენტაციის მართვის გაუმჯობესება;

### კვარტლის მიღწევა

სანგარიშო პერიოდში მთავარი აქცენტი გადატანილი იყო მაუწყებლის ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებაზე, რომელიც დღემდე გადაუჭრელ პრობლემად ითვლებოდა. აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, მაუწყებელს სარგებლობაში გადმოსცა ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის #16/18-ში მდებარე ფართი - 305,3 კვ.მ. სარგებლობის უფლება თებერვლის თვეში დარეგისტრირდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

### კვარტლის გამოწვევა

#### საერთო ფონი კვლავ რთულია

ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის სამუშაო დისციპლინის არადაამაკმაყოფილებელი დონე.

**„პროგრამა=პრიორიტეტს“ შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებელი ორიენტირებული იყო კანონისა და პროგრამული პრიორიტეტების შესრულების საკითხებზე. ვცდილობდით გაგვეშუქებინა მთავარი გამოწვევები.

#### **ტელევიზია-შედეგები:**

საანგარიშო პერიოდში ახალი ამბების სამსახურს მოუწია უწყვეტ რეჟიმში მნიშვნელოვანი მოვლენების გადაცემა. ახალი ამბების სამსახურისათვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის ოპერატიული გავრცელება.

#### **რადიო-შედეგები:**

დავიწყეთ პროგრამულ პრიორიტეტებთან შესაბამისი იდეების გენერირება გარეწარმოების ხაზით შესაძენი მექანიკური მასალის კონკურსისათვის, შეიცვალა რადიოს შენობაში არსებული განათებები.

### **ინტერნეტი-შედევები:**

ონლაინ სამსახურმა დებულების თანახმად, 2021 პირველ კვარტალში, საიტზე აიტვირთა ყველა გადაცემა და ფილმი, რომელიც გავიდა ეთერში. ასევე საიტზე განთავსდა რადიოში გასული აუდიო გადაცემები.

### **სამსახურის მიერ დაიგეგმა განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:**

- ვიდეო მასალები დახარისხდა და პარალელურად აიტვირთა მაუწყებლის youtube არხზე;
- ფბ გვერდზე გაზიარდა გადაცემების ანონსები, რომელიც მიწოდებული იქნა შესაბამისი სამსახურების მიერ;
- დამუშავდა და დაიჭრა გასული გადაცემებიდან საინტერესო მონაკვეთები, გაზიარდა სოციალურ ქსელებში, დახურულ და თემატურ ჯგუფებში.
- დამუშავდა, დახარისხდა და აიტვირთა მაუწყებლის ადმინისტრაციისა და მრჩეველთა საბჭოს დოკუმენტები, გადაწყვეტილებები და სხდომები.
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის, საიტზე შეიქმნა ცალკე სივრცე და გადავიტანეთ მანამდე არსებული დოკუმენტები. დაემატა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების საკონტაქტო მონაცემები.

### **გადაცემების ფეისბუქ გვერდების მონაცემები**

აჭარის მაუწყებლის ონლაინ სამსახური, დებულების თანახმად, პასუხისმგებლობას იღებს და ითვლის მხოლოდ მაუწყებლის შემოქმედებითი გადაცემების სოციალურ მონაცემებს. წინა ანგარიშისგან განსხვავებით, ამჯერად სწორედ ამ მიმართულებით გაწეული სამუშაოს შედეგებს გაგაცნობთ. გთავაზობთ მოქალაქეების ინტერაქციის (კომენტარები, ემოციები, გაზიარებები) მიხედვით კვარტლის მონაცემებს:

მაუწყებლის გადაცემებს შორის, ყველაზე მეტი ინტერაქცია - კომენტარები, ემოციები და გაზიარებები აქვს „ერთი დღე სოფელს“. გადაცემის გვერდზე დადებულმა ვიდეოებმა, მიმდინარე კვარტალში, მომხმარებლებისგან 48 000 რეაქცია მოაგროვა. Crowdtangle-ს მონაცემებით, ამ გვერდის მიერ ატვირთული ვიდეოების ნახვები - 325 000.

მოქალაქეთა ჩართულობის მიხედვით, მეორე ადგილზეა „დილის ტალღა“ - 43 000 ინტერაქციით, თუმცა ვიდეოების ყურების მაჩვენებლით გადაცემა პირველ ადგილს იკავებს - 926920.



მოქალაქეთა ჩართულობის თვალსაზრისით მესამე ადგილზეა გადაცემები - „ეს შუადღე“ და „მე ვარ ფერმერი“. შემდეგ მოდის „ვემსახურები საქართველოს“, „Zoom განათლებაზე“ და „ჰემოეგი“ - ამ გადაცემების ფბ გვერდებზე მოქალაქეთა ჩართულობა 10 000 ფარგლებში მერყეობს. ვიდეოების ნახვები კი, 250 000-დან 370 000.

**სქრინი 1 - რეიტინგი ინტერაქციის მიხედვით**

Page Name	Total Interactions	Interaction Rate	Avg. Posts Per Day	Views on Owned Videos	Page Followers	Growth % and #
Average Total	7,919.89	0.911%	0.86	159,835.44	16,148.78	+14.97%
1  ერთი დღე სოფელში	48,102	1.261%	0.82	325,393	53,284	+6.96% +3,468
2  დილის ტალღა / Dilis Talga	43,074	0.726%	3.7	926,920	19,573	+22.72% +3,624
3  ეს შუადღე . Ajara TV	9,458	0.985%	2.98	275,159	4,156	+41.02% +1,209
4  მე ვარ ფერმერი / Me Var Fermeri	9,341	1.8%	0.13	375,438	44,987	+8.54% +3,541
5  ვემსახურები საქართველოს	8,708	3.159%	0.19	196,409	17,015	+10.47% +1,613
6  ZOOM განათლებაზე	8,205	1.535%	1.01	270,010	7,630	+86.28% +3,534
7  ჰემოეგი / Hashtag	7,367	0.233%	0.56	275,448	64,292	+3.48% +2,161
8  დილის რადიო	5,086	0.334%	4.89	136,389	3,701	+28.02% +810
9  ბუნების კანონი	1,519	4.09%	0.11	53,115	3,901	+12.03% +419
10  სპორტკლუბი / SportClub	875	0.496%	0.26	25,548	7,783	+3.07% +232
11  ART ექსპერტი / ART Expert	443	0.98%	0.44	9,698	1,250	+25.63% +255
12  იმპულსი • Impulsi	180	0.171%	0.11	4,550	10,569	+1.33% +139
13  უცხო სუნელი	135	0.259%	0.07	2,939	8,594	+2.47% +207
14  თეთრი კვადრატი / White Quadrat	42	0.204%	0.18	22	982	+0.41% +4
15  ბიბლიოთეკა	23	0.163%	0.03	—	4,386	+4.80% +201

**სქრინი 2 - რეიტინგი ვიდეოების ნახვების მიხედვით**

Name	Interactions	Rate	Per Day	Owned Videos	Followers	% and #
Average Total	7,938.94	0.913%	0.86	160,466.06	16,148.78	+14.97%
1 დილის ტალღა / Dilis Talga	43,160	0.726%	3.7	927,939	19,573	+22.72% +3,624
2 მე ვარ ფერმერი / Me Var Fermeri	9,574	1.844%	0.13	384,924	44,987	+8.54% +3,541
3 ერთი დღე სოფელში	48,111	1.261%	0.82	325,581	53,284	+6.96% +3,468
4 ჰეშთეგი / Hashtag	7,367	0.233%	0.56	275,448	64,292	+3.48% +2,161
5 ეს შუადღე . Ajara TV	9,459	0.985%	2.98	275,278	4,156	+41.02% +1,209
6 ZOOM განათლებაზე	8,204	1.535%	1.01	270,104	7,630	+86.28% +3,534
7 ვებსაზღვრები საქართველოს	8,708	3.159%	0.19	196,409	17,015	+10.47% +1,613
8 დილის რადიო	5,101	0.334%	4.91	136,833	3,701	+28.02% +810
9 ბუნების კანონი	1,519	4.09%	0.11	53,115	3,901	+12.03% +419
10 სპორტკლუბი / SportClub	875	0.496%	0.26	25,548	7,783	+3.07% +232
11 ART ექსპერტი / ART Expert	443	0.98%	0.44	9,698	1,250	+25.63% +255
12 იმპულსი • Impulsi	180	0.171%	0.11	4,551	10,569	+1.33% +139
13 უცხო სუნელი	135	0.259%	0.07	2,939	8,594	+2.47% +207
14 თეთრი კვადრეტი / White Quadrat	42	0.204%	0.18	22	982	+0.41% +4
15 ბიბლიოთეკა	23	0.163%	0.03	—	4,386	+4.80% +201
16 ავეარიუმი	—	—	—	—	5,866	+12.53% +653
17 რადიოიზია	—	—	—	—	25,845	-0.10% -76

შენიშვნა: საუკეთესო მონაცემების მქონე გადაცემებს შორის, ერთადერთი გადაცემა, რომელიც ყოველდღიურად აახლებს მის ფეხვერდს (რადგან ყოველდღეა ეთერში) „ეს შუადღეა“. მისი მონაცემები არ აღემატება ყოველკვირეული გადაცემების მონაცემებს.

### ყველაზე პოპულარული ვიდეოები 2021 წლის პირველ კვარტალში

პირველ კვარტალში, ყველაზე პოპულარული „სახალხო კონტროლის“ ლაივი გახდა, რომლის ნახვებმა მილიონს გადააჭარბა. ფეხვერდი იყო ჩართული როგორც ტელევიზიის, ასევე „სახალხო კონტროლის“ გვერდზე.

/შენიშვნა/ ფეხვერდი აფიქსირებს ნებისმიერ მოძრაობას, როგორც 1 წუთზე მეტი ხნით ჩართულ ვიდეოს, ასევე 3 წამით ან უფრო მოკლე ხნით.


ლაივს ჰქონდა 36 000 ემოცია, 10 000 კომენტარი და 3000 გაზიარება.






მეორე ადგილს იჭერს დილის ტალღის ვიდეო შუშანა ბებოზე.


30 ათასზე მეტი ემოცია, 1000-ზე მეტი კომენტარი და 800-ზე მეტი გაზიარება. ვიდეოს ჯამში 192 000 ნახვა დაუგროვდა.



რეზონანსული იყო „დილის ტალღის“ კიდევ ორი სიუჟეტი. ერთი მასალა პორტრეტი იყო იმ ადამიანის, რომელმაც ქუჩის ძაღლ სიკვდილს გადაარჩინა, შეიფარა და ძვირადღირებული ოპერაციები დაუფინანსა. მას მოსდევს სიუჟეტი დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებზე და მათ მშობლებზე.



ტოპებშია „სახალხო კონტროლის“ კიდევ ერთი ვიდეო. აღსანიშნავია, რომ აჭარის მასშტაბით მდებარე ობიექტებზე განხორციელებულ მონიტორინგს, ჩვენს გვერდზე მაღალი საზოგადოებრივი ჩართულობა აქვს.




**ტრადიციულად ტოპებში მოხვდა „ჰემთეგისა“ და „მე ვარ ფერმერის“ ვიდეოები.**

„ჰემთეგის“ ვიდეო სმენადაქვეითებული წყვილის მიერ ორგანიზებულ სათბურზე მოგვითხრობს, რომლებიც პანდემიის შემდეგ უმუშევრად დარჩნენ და ახალ საქმიანობას მიჰყვებიან ხელი.

„მე ვარ ფერმერის“ სიუჟეტი კი ზუთხის ავზებს ეხებოდა. საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ მეურნეობას, რომელიც ქობულეთში მდებარეობს.

ამ ვიდეოებს 3000 (სამი ათასიდან) -დან 4 000(ოთხი ათასამდე) ემოცია აქვთ, ნახვები კი 60000 (სამოცი ათასიდან) დან 80 000 (ოთხმოცი ათასამდე) შეადგენს.



ტოპათეულში მოხვდა „მე ვარ ფერმერის“ კიდევ ერთი ვიდეო კალიფორნიული ჭიების მოშენებასა და „ZOOM განათლების“ ვიდეო - ქიმიის მასწავლებლის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ტოპებს მიღმა მოხვდა, მაგრამ კარგიინტერაქცია ჰქონდა სხვა გადაცემების ვიდეოებსაც - მათ შორის იყო გადაცემა „დილის რადიოს“.




მიმდინარე კვარტლისგან განსხვავებით, გასულ კვარტალში, „მე ვარ ფერმერთან“ და „ჰემთეგთან“ ერთად ტოპვიდეოებში იყვნენ „ბუნების კანონი“ და „ერთი დღე სოფელში“.

ინტერაქციის მიხედვით, მაუწყებლის გვერდი მე-13 ადგილს იკავებს, გასულ კვარტლაში მე-15 ადგილზე იყო.

თუ ზემოთმოყვანილი მონაცემებით ვიმსჯელებთ, ტოპ ვიდეოებში მაუწყებლის გვერდიდან მხოლოდ „სახალხო კონტროლი“ მოხვდა, რომლის ინტერაქცია და ნახვების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა ყველა სხვა ვიდეოსა და პოსტის მაჩვენებლებს ამ გვერდზე.

მაღალი ინტერაქცია ჰქონდა მხოლოდ იმ ახალ ამბებს, რომლებშიც საუბარი იყო ავარიაზე, ხანძარზე, მუშის დაღუპვაზე და ა.შ.




2021 წლის პირველი კვარტლის ანგარიში  
დირექტორის მ/შ ჯემალ გვეტაძე


Page Name	Total Interactions	Interaction Rate	Eng. Rate Per Day	Views on Owned Videos	Page Followers	Growth % and #
Average Total	500,863.83	0.145%	24.28	12.51M	179,097.74	+3.37%
1 მთავარი არხი • Mtavari Arkhi	9.20M	0.126%	91.81	212.39M	932,120	+11.50% +96,111
2 TV Pirveli • ტელეკომპანია პირველი	7.13M	0.154%	76.54	257.15M	725,624	+17.72% +109,216
3 TV Imedi	4.47M	0.051%	117.01	93.09M	852,053	+5.54% +44,722
4 Rustavi 2	2.97M	0.057%	57.58	119.09M	1,019,638	+4.20% +41,136
5 პირველი არხი	1.33M	0.049%	66.09	17.42M	464,719	+4.11% +18,363
6 რადიო თავისუფლება	797,930	0.043%	55.04	10.28M	382,818	+3.51% +12,964
7 პრაიმშოუ • PrimeShow	750,003	1.308%	1.78	15.61M	370,124	+6.80% +23,554
8 თოქ-შოუ პროფილი	665,168	0.623%	2.54	20.15M	477,390	+4.92% +22,386
9 ნანუკა ჯორჯოლიანის შოუ / Nanuka Zhorzholiani's Show	617,601	0.64%	1.99	15.87M	551,131	+4.48% +23,637
10 Tabula - ტაბულა	475,929	0.036%	63.12	3.16M	230,385	+1.73% +3,912
11 ambebi.ge • ამბები.ge	375,970	0.019%	59.78	992,224	366,746	+0.97% +3,527
12 მათემატიკა • Batumelebi.ge	374,511	0.139%	30.02	3.22M	103,266	+7.88% +7,544
13 აჭარის ტელევიზია • Ajara TV - საზოგადოებრივი მაუწყებლობა	290,899	0.044%	55.52	3.40M	138,596	+11.88% +14,722
14 Kavkasia TV • ტელეკომპანია კავკასია	275,600	0.205%	43.04	1.28M	37,154	+15.54% +4,996
15 InterPressNews.ge	274,332	0.04%	60.34	496,865	126,055	+1.87% +2,320
16 Kakha Kaladze კახა კალაძე	252,897	0.914%	0.62	2.17M	496,631	+0.97% +4,765
17 NEWS.On.ge	252,866	0.031%	61.21	3.06M	145,594	+2.37% +3,366
18 Netgazeti	249,047	0.051%	44.11	3.33M	124,647	+5.61% +6,620
19 POSTV - ახალი ამბები	248,006	0.085%	26.06	3.22M	125,222	+2.47% +3,021
20 POSTV - ვართომა	242,749	0.099%	5.14	10.54M	539,505	+4.40% +22,720
21 BMG • ბიგზი	234,379	0.022%	74.89	3.50M	155,576	+4.66% +6,925
22 ამერიკის ხმა	228,818	0.06%	16.68	3.61M	260,127	+4.25% +10,594
23 palitravideo.ge	214,297	0.023%	43.1	1.32M	243,531	+0.68% +1,655
24 TV პალიტრანიუსი - TV PalitraNews	181,106	0.01%	94.69	6.74M	203,775	+2.40% +4,774
25 On.ge	164,194	0.036%	28.37	667,693	179,081	+2.95% +5,131
26 კომერსანტი • Comersant	140,853	0.056%	59.76	1.75M	49,634	+13.95% +6,077
27 სხვა შუადღე / Skhva Shuadge	129,851	0.252%	2.61	5.12M	224,435	+4.99% +10,670



გაიზრდა მთავარი გვერდის „მიმდევრების“ რაოდენობა, ამ კვარტალში 16.3 ფოლოუერი დაგვემატა, თუმცა 2000(ორი ათასამდე) ადამიანმა მიმდევრობა გააუქმა.



ამ კვარტალში გაზრდილია გვერდზე ე.წ. რიჩების რაოდენობაც. ეს იმას ნიშნავს, რომ მაუწყებლის გვერდზე დადებული პოსტები, ფოლოვერების და ლაიკერების ფიდზე ჩნდება. თუმცა, ამ პოსტებზე ჩართულობა ან ემოციები ნაკლებია.



### მაუწყებლის მთავარ გვერდზე ვიდეოების მთვლელის მონაცემები

რაც შეეხება ვიდეოებს, ფბ მთვლელის მიხედვით, ყველა ვიდეოს ნახვის სტატისტიკა, წინა კვარტალთან შედარებით დაბალია.

საერთო ჯამში ვიდეოები - (მათ შორის განმეორებით) 3.3 მილიონზე მეტჯერ ჩაირთო, წინა კვარტალში ნახევარი მილიონით მეტი იყო, 11% ვარდნა გვაქვს დინამიკაში.


ერთ წუთზე მეტი ხნით ვიდეოს უყურა 545 000 (ხუთას ორმოცდახუთმა ათასმა) ადამიანმა (25% ნაკლები) .



2.8 მილიონმა სამი წამით ჩართო (28% ნაკლები).

/შენიშვნა: ეს მაჩვენებელი ძალიან პრობლემურია და აუცილებელია მის გამოსწორებაზე მუშაობა/

ვიდეო მექანიკურად გახსნა ან რაღაც შემხებლობა ჰქონდა 79.9 ათასს (45% ნაკლები)



ეს იყო აჭარის მაუწყებლის მთავარი გვერდის ზოგადი მონაცემები. ვინაიდან, მაუწყებლის მთავარ გვერდზე, ძირითადად, ახალი ამბები თავსდება, ჩვენი სამსახურის დებულებას სცდება მისი სრული კონტროლი.

### მაუწყებლის Youtube არხი

Youtube გვერდზე აქტიურად მუშაობა 2020 მარტში დავიწყეთ, რადგან საიტზე ვიდეოების განთავსება, Youtube-ის მეშვეობით დავიწყეთ.


ერთის მხრივ, ამ გადაწყვეტილებით აჭარის მაუწყებლის ციფრულ არქივს ვქმნით, მსოფლიოში ყველაზე სანდო პლატფორმაზე. მეორეს მხრივ, ვზრდით აუდიტორიის

ხელმისაწვდომობას ამ პროდუქტებზე. ამასთან, ეტაპობრივად ვზრდით ჩვენს მომხმარებლებს ამ არხზე.


ბოლო კვარტალში, მაუწყებლის შემოქმედებითი გადაცემები youtube-ზე 748 000 (შვიდასორმოცდარვა ათასი). 2100 (ორიათას ასით) გაიზარდა მიმდევრების რიცხვი, საერთო ჯამში 11 000 (თერთმეტი ათასია). ეს ციფრი ძალიან დაბალია, თუმცა დინამიკა მზარდია.

ვფიქრობთ, რომ მომდევნო ორ კვარტალში აქტიურად ვიმუშაოთ ამ პლატფორმაზე და სასურველი შედეგის მიღწევის შემდეგ ჩავრთოთ მონეტიზაცია.

## სკრინი 1 - მიმდინარე კვარტალი



## სკრინი 2 - განვითარების დინამიკა



2021 წლის პირველ კვარტალში ახალი ამბების სამსახურში 15 იანვრიდან დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვება ეთერში გადის 2 (ორი) წამყვანით, გადაცემაში დაბრუნდა სპორტული ბლოკიც, შეიცვალა ამინდის პროგნოზის ქუდი და შეფუთვა, რომელიც ეთერში 18:00 და 20:00 გამოშვებებში გადის. საინფორმაციო გამოშვებებში თითქმის უწყვეტი პირდაპირი ეთერი ეთმობოდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. ჩვენი რეპორტიორები იყვნენ ყველა მოვლენის ეპიცენტრში. განვითარებული მოვლენების შესამაბიმად ყოველ კვირაში მაუწყებლის ცენტრალური ოფისიდან ხდება დამატებითი ჯგუფის მივლინება დედაქალაქში. თბილისის ბიუროში სამუშაო პროცესის კიდევ უფრო ეფექტურად წარმართვისთვის, ავიყვანეთ ახალი ვიდეო-ოპერატორი. ჩვენმა გადამღებმა ჯგუფმა გააშუქა პრემიერ-მინისტრის ვიზიტი ბრიუსელში, მაყურებელი ბელგიიდან პირდაპირ ეთერში უსმენდა და უყურებდა ახალ ამბებს. გრძელდება თანამშრომლობა ამერიკის ხმასთან ასევე მასალების გაცვლა საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე ცენტრალურ მედია საშუალებასთან.

**სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურში 2021 წლის პირველ კვარტალში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:**

- ✓ 2021 წლის 28 იანვარს პროდუქციაზე (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური) ფილმების შესყიდვაზე გამოცხადებულ კონკურსის გამარჯვებულებთან გაფორმდა ხელშეკრულება:
- შპს „ალფა 2020“-თან, ხელშეკრულება (#02-21/2) 91(ოთხმოცდაათერთმეტი) უცხოური მხატვრული ფილმის, 80 (30 წთ.) BBC დოკუმენტური ფილმის და ხელშეკრულება (#02-21/4) 50 (ორმოცდაათი) (50-60 წთ.) BBC დოკუმენტური ფილმების ჩვენების ლიცენზიის შეძენის თაობაზე;

- შპს „ქართული გახმოვანება“ -თან გაფორმდა ხელშეკრულება (02-21/3) 59 (ორმოცდაცხრამეტი) უცხოური მხატვრული ფილმის და 34,12 სთ. ანიმაციური ფილმის ჩვენების ლიცენზიის შექმნის თაობაზე.
- ✓ ა.წ. 26 მარტს გამოცხადდა კონკურსი ქართული ფილმების (70 ფილმი) ლიცენზიის შესყიდვაზე;
- ✓ გადაცემების და მექანიკური პროდუქციის ანონსირება;
- ✓ ყოველკვირეული პროგრამის შემუშავება და სხვადასხვა ვებ პლატფორმაზე მიწოდება, მაქტისატისთვის პროგრამის დამუშავება-მიწოდება;
- ✓ ბრენდირებული ნივთების შექმნა, მიკროფონის დროშები/ღრუბლები, რადიოს ლაითბოქსების ფირები, თანამშრომელთა განახლებული ბეიჯები;
- ✓ ორგანიზაციებიდან სოციალური რეკლამის მიღება-განთავსება, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება, რგოლის დამზადება-განთავსება;
- ✓ 6( ექვსი) კომპანიის კომერციული მომსახურება, შემოსული თანხა შეადგენს 4677 ლარს;

პირველ კვარტალში ბადეში შევიდა შემდეგი ცვლილება:

განხორციელდა საახალწლოდ ბადის დაკორექტირება, საახალწლო დღეებში (01.01-10.01) პირდაპირი ფორმატის გადაცემები შეჩერდა და მოხდა წინა წლის საახალწლო ფორმატის გადაცემებით და მექანიკური პროდუქციით ჩანაცვლება, მოხდა მუსიკალური ნომრების შერჩევა-განთავსება, მუსიკალური ცენტრის მიერ მოწოდებული კონცერტების განთავსება, მეფუტკრეთა ასოციაციის მიერ მოწოდებული დოკუმენტური ფილმის „ჯარა“ განთავსება, ეროვნული ლიგის თამაშების ჩვენება;

- ✓ 2021წლის პირველი კვარტლისთვის სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახური ფლობს დია წყაროებში არსებულ სარეიტინგო მონაცემებს. წარმოგიდგენთ მათ განზოგადებულ ნაწილს. (*დანართი N2*)  
იანვარში აჭარის ტელევიზიის სარეიტინგო მონაცემმა rtg(000) შეადგინა 3,3, ხოლო თებერვალში იგივე მონაცემი 2,1 ერთეულამდე დაეცა. ბოლოს არსებული ინფორმაციით, 2.1 ერთეულს ითვლის 1-14 მარტის მონაცემებითაც.  
წარმოდგენილ არხებში (ჯამში 17 არხი), იანვარში აჭარის ტელევიზია იკავებდა მე-10 პოზიციას, თებერვალში მე-14-ს, ხოლო 1-14 მარტის მონაცემებით მე-13-მე-14 პოზიციაზეა.

### რადიო-შედეგები და საჭიროებები;

2021 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სახის აქტივობები:

- პერიოდულად მიმდინარეობდა ყოველკვირეული მუსიკალური პლელისტის გენერაცია
- განახლება.
- პერიოდულად მიმდინარეობდა რადიოს საეთერო სტუდიებში წარმოშობილი ტექნიკური პრობლემების აღმოფხვრა.

დავიწყეთ პროგრამულ პრიორიტეტებთან შესაბამისი იდეების გენერირება გარეწარმოების ხაზით შესაძენი მექანიკური მასალის კონკურსისთვის, შეიცვალა რადიოს შენობაში არსებული განათებები, დღემდე პრობლემად რჩება რადიოს საეთერო სტუდიებში და სამონტაჟოებში პროფესიონალური ყურსასმენების საკმარისი რაოდენობის არქონა.

მიმდინარე პროგრამულ ბადაში განთავსებული გადაცემების ჩამონათვალი იხილეთ დანართი N3 სახით .

### იურიდიული მხარდაჭერა

2021 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, მაუწყებელში შემოსულია შემდეგი რაოდენობის დოკუმენტაცია:

ადმინისტრაციის და სხვადასხვა სამსახურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი - 697;

სხვადასხვა ორგანიზაციიდან შემოსული დოკუმენტაცია - 112.

კანცელარიიდან გაიგზავნა 100 წერილი.

მაუწყებელში შეიქმნა და რეგისტრაციაში გატარდა:

ძირითადი საქმიანობის შესახებ (02-03) - 03 ბრძანება;

ადმინისტრაციულ-სამეურნეო საკითხების შესახებ (02-09) - 43 ბრძანება.

რეგისტრაციაში გატარდა - 141 მიღება-ჩაბარებისა და სხვა აქტი.

#### 1. სასამართლო დავები:

ა) 2021 წლის 18 მარტს ჩატარდა პირველი სასამართლო სხდომა მოსარჩელე შორენა ლლონტის სარჩელის გამო მოპასუხე მაუწყებლის მიმართ. დავის საგანი: შორენა ლლონტთან შრომითი ურთიერთობის ვადის ცვლილების შესახებ მაუწყებლის დირექტორის 220 წლის 22 აპრილის ბრძანების ბათილად ცნობა.

მოსარჩელე მხარემ იშუამდგომლა საქმეების გაერთიანებაზე, კერძოდ შორენა ლლონს აღძრული აქვს სარჩელი მოპასუხე მაუწყებლის მიმართ (დავის საგანი: შორენა ლლონტთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ 2020 წლის 28 თებერვლის #02-05/20 ბრძანების ბათილად ცნობა მუწყებლის თანამდებობის პირის/თანამშრომლის საქმიანობაში ჩარევის აღსაკვეთად, ახალი ამბების სამსახურის უფროსის ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებლად მიქცევა). მოპასუხე მხარე დათანხმდა საქმეების გაერთიანებას.

სასამართლო სხდომა გადაიდო. მხარეებს ეცნობებათ სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ საქმეების გაერთიანების თაობაზე.



ბ) 2021 წლის 18 მარტს ჩატარდა მეორე სასამართლო სხდომა, მოსარჩელები: თეონა ხარაბაძე, მაია მერკვილაძე, დავის საგანი: მაუწყებლის დირექტორისათვის დისციპლინური წარმოების, რეორგანიზაციის და ხელშეკრულების პირობების ცვლილების/ბოროტად გამოყენების გზით მოსარჩელის/თანამშრომლის საქმიანობაში უკანონო ჩარევისა და ზემოქმედების აკრძალვა; ცირა სურმანიძის მიმართ საყვედურის გამოცხადების თაობაზე მაუწყებლის დირექტორის #02-09/29 ბრძანების ბათილად ცნობა(გამოხმობილია სარჩელი ამ მოთხოვნის ნაწილში); მაია მერკვილაძის მიმართ საყვედურის გამოცხადების თაობაზე მაუწყებლის დირექტორის #02-09/30 ბრძანების ბათილად ცნობა; თეონა ხარაბაძესთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების პირობების კეთილსინდისიერად შესრულება.

სხდომა გადაიღო იმ საფუძველით, რომ სასამართლო მოსარჩელებს მისცა შესაძლებლობა დაეზუსტებინათ პირველი და მეოთხე სასარჩელო მოთხოვნები, ასევე მოსარჩელემ იშუამდგომლა სხდომის გადადებაზე, ვინაიდან ოჯახური პირობების გამო მოსარჩელე თეონა ხარაბაძე ვერ ესწრებოდა სასამართლო სხდომას.

გ) მოსარჩელებმა - ა(ა)იპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს ალტერნატიული პროფესიული კავშირები. ვანცენტ ხაბეიშვილი. ირაკლი ყურუა, წარმოადგინეს დაზუსტებული სარჩელი.

დავის საგანი: შრომითი ხელშეკრულების ნაწილის ბათილად ცნობა (მაუწყებლის დირექტორის 2020 წლის 08 აპრილის ბრძანებით დამტკიცებული სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს თანამშრომლ(ებ)ის ინტერნეტი/სოციალურ ქსელში ქცევის წესების ზოგიერთი პუნქტის ბათილად ცნობა.

დაზუსტებული სარჩელი წარმოდგენის საფუძველია მაუწყებლის დირექტორის მიერ 2020 წლის 24 ნოემბრის ბრძანებით ცვლილებების შეტანა მითითებულ ქცევის წესებში.

დ) მაია მერკვილაძის საჩივრის განხილვა 2021 წლის 26 იანვარს სააპელაციო სასამართლოში აპელანტის შუამდგომლობის საფუძველზე გადაიღო, ვინაიდან სხდომა უნდა ჩატარებული დისტანციურად და მხარე ვერ მოახერხებდა სასამართლო პროცესში ჩართვას. სხდომა ჩანიშნა 2021 წლის 13 აპრილს.

## 2. ტელე პროდუქციის ან/და მის შესაქმნელად საჭირო მომსახურების შესყიდვა

ა) მაუწყებლის დირექტორის 2021 წლის 28 იანვრის #02-09/08 ბრძანებით გამოცხადებული აუდიოვიზუალური ნაწარმოებების საჯარო გადაცემის ლიცენზიის შესყიდვის კონკურსის საფუძველზე ხელშეკრულებების გაფორმდა შპს „ალფა2020“-თან და შპს „გართული გახმოვანება“-სთან. გამარჯვებულად ცნობილი იყო ასევე შპს „სატრასტო კომპანია ედემი“, რომელმაც ხელშეკრულების გაფორმებაზე უარი თქვა, აღნიშნულ ნაწილში კონკურში გამოცხადდა ჩაშლილად (#02-09/28; 10/03/2021), რის გამოც მაუწყებელმა კონკურსის გარეშე შეისყიდა საჯარო გადაცემის ლიცენზია შპს „ალფა2020“-



გან იმავე პირობებით, რაც მითითებული იყო კონკურსში. კონკურსში მხოლოდ მითითებული კომპანიები მონაწილეობდნენ.

ბ) კონკურსის გარეშე 4(ოთხი) ერთეული ქართული მხატვრული ფილმის საჯარო გადაცემის უფლების შესყიდვის თაობაზე გაფორმდა ხელშეკრულება უფლების მფლობელთან - კახაბერ სანიშვილთან (ვინაიდან არ თანამშრომლობს შუამავალ კომპანიებთან).

ჯამში გაფორმებულია 4 (ოთხი) ხელშეკრულება აუდიოვიზუალური ნაწარმოებების საჯარო გადაცემის ლიცენზიის შესყიდვის თაობაზე.

შესაბამისი ბრძანებები და ზეპირი კონსულტაციები გაეწია კომისიის წევრებს პროცედურებთან დაკავშირებით, ასევე, იურიდიული სამსახურის უფროსის მიერ მომზადდა შესაბამისი ბრძანებები და ხელშეკრულებები (ცვლილებები ხელშეკრულებებში, საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული მოქმედებების განხორციელება).

### 3. ხელშეკრულებები

ა) გაფორმდა სარეკლამო კონტენტის ეთერში განთავსების ხელშეკრულებები - ჯამში 7(შვიდი) ერთეული.

ბ) გაფორმდა იჯარის 2 (ორი) ხელშეკრულება (შპს „რეგიონი“, ი/მ თამარ ფუტყარაძე) მაუწყებლის გადაცემების სარეკლამო ბანერების განთავსების მიზნით.

გ) გაფორმდა ხელშეკრულება (შპს „დელტა კომთან“) ციფრული მაუწყებლობის გავრცელების თაობაზე.

### 4. ქონების სარგებლობაში გადმოცემა

ა) აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, მაუწყებელს სარგებლობაში გადმოსცა ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის #16/18-ში მდებარე ფართი - 305,3 კვ.მ. სარგებლობის უფლება თებერვლის თვეში დარეგისტრირდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

სამინისტროში გაგზავნილია წერილი ზეაღნიშნულ უძრავ ქონებაში განთავსებული 3 კონდეციონერის საკუთრებაში გადმოცემის თაობაზე.

### 5. სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია

ა) საჯარო ინფორმაციის სახით ა(ა)იპ „საერთაშორის გამჭვირვალობა საქართველომ“ მაუწყებლიდან ინფორმაცია - 8(რვა) წერილი. პასუხი გაცემულია 6 (ექვს) წერილზე, 2 (ორ) წერილზე შესაბამისი სამსახურისგან ველოდები ინფორმაციის მოწოდებას.

ბ) ინფორმაცია გამოითხოვა მაუწყებლის თანამშრომელმა თ.ხ.-მ - 2(ორი) წერილი. ერთ-ერთი ინფორმაციის (სახელფასო ტაბელების თაობაზე) გადაცემაზე მას უარი ეთქვა, ვინაიდან შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს.

გ) მიმდინარეობს ხელშეკრულების ცვლილებაზე მუშაობა შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრთან“ შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების საფუძველით, კერძოდ ელ.ენერჯის გაზრდილი ტარიფის გამო (გამოთხოვილია შესაბამისი დასაბთება, გაანგარიშება).

დ) შპს „ტვ25“-ის მომართვის საფუძველზე მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები მაუწყებლის ბალანსზე რიცხული ანძის და მიმდებარე მიწის (დაბა მახინჯაური) ნაკვეთი იჯარით გაცემის თაობაზე (საიჯარო ქირის განსაზღვრის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულება აუდიტორული მომსახურების შესახებ, მიღებულია ნებართვა სსიპ „ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსგან“).

ე) მაუწყებლის ოფიციალურ ვებ.გვერდზე იურიდიული სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე შეიქმნა „საჯარო ინფორმაციის“ გრაფა, სადაც თავხდება საჯარო ინფორმაცია.

ვ) მოთხოვნის საფუძველზე „წყნეთი ტვ“-ს მიეცა უფლება საკაბელო ქსელის საშუალებით განახორციელოს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს სატელევიზიო ეთერის რეტრანსლირება 2021 წლის განმავლობაში.

ზ) ინტერნეტ არხ „ექსკლუზივს“ შეუწყდა უფლებამოსილება გაავრცელოს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს გადაცემების ინტერნეტ არხით გავრცელების უფლებამოსილება („საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონით დადგენილი წესის დარღვევის გამო).

## 8. მაუწყებლის შიდა დებულებები.

ა) ცვლილება შევიდა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის 2017 წლის 01 სექტემბრის #02-03/19 ბრძანების მე-2 დანართში - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ საქმისწარმოების ინსტრუქციაში“, რომლის მიხედვითაც ბრძანების მომზადება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის - პროგრამა „edocument“-ის მეშვეობით.

ბ) მაუწყებლის დირექტორის 2021 წლის 26 იანვრის ბრძანებით დამტკიცდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ ახალი საქმეთა ნომენკლატურა.

გ) სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს დირექტორის 2021 წლის 02 თებერვლის ბრძანებით ცვლილება შევიდა მაუწყებლის „მივლინების“ წესში

და მივლინების თაობაზე ბრძანების მომზადება დაევალა მაუწყებლის საკადრო ბაზის განვითარების სამსახურს.

დ) შემუშავდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ ადმინისტრაციულ შენობებში შესვლის/გასვლის ახალი წესი, მომზადდა შესაბამისი ბრძანება.

ე) შემუშავდა „სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ ადმინისტრაციულ შენობებში პირთა შემოსვლის დაშვების უფლების მქონე პასუხისმგებელი პირების თაობაზე შესაბამისი დოკუმენტი და მომზადდა ბრძანება.

ვ) შემუშავა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ პროგრამის, პროდუქციის ან/და მის შესაქმნელად საჭირო მომსახურების შესყიდვის ახალი დებულება.

მიმდინარეობის პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობა.

## 8. სხვა

2021 წლის 01 მარტიდან 2021 წლის 17 მარტის ჩათვლის იურიდიული სამსახურის უფროსი ასრულებდა ასრულებდა საკადროს ბაზის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობას.

მომზადებულია სხვადასხვა სახის ბრძანებები (მათ შორის, საწვავი ლიმიტების განსაზღვრის, კომერციულ ანგარიშზე თანხის გადატანის და სხვ.)

მომზადებულია სხვადასხვა წერილები (მათ შორის, საპასუხო წერილები მაუწყებლის არქივიდან მასალების გამოთხოვის თაობაზე, დებიტორებს დავალიანების დაფარვის თაობაზე, საპასუხო წერილები სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს და სხვ.)

იურიდიული სამსახურის უფროსი მუშაობდა სოციალური რეკლამის მიმნიჭებელ კომისიაში (მომზადებულია 18 ბრძანება, 2 განმცხადებელს უარი ეთქვა), ასევე სატენდერო კომისიაში, სხვადასხვა სახის მოხსენებითი ბარათები შიდა ორგანიზაციული საკითხების თაობაზე.

## კვარტლის ტენდერები

2021 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ პირველ კვარტალში გამოცხადდა 23 ტენდერი, მათ შორის: უარყოფითი შედეგით დასრულდა - 4, გამოცხადებულია 2, შერჩევა/შეფასების ეტაპზეა - 4, არ შედგა - 2, ხოლო 11 შემთხვევაში გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმდა საქონლისა და მომსახურების მიწოდების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებები.

ინფორმაცია გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ:

1. 20 გამარტივებული შესყიდვა საკუთარი (არასაბიუჯეტო) შემოსავლებით;
2. 35 გამარტივებული შესყიდვა სახელმწიფო ბიუჯეტით;
3. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმდა 10 ხელშეკრულება.

## ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსები, სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა

საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსები, სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა. აღნიშნული ფუნქციის გასახორციელებლად სამსახურის მიერ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

2020 წლის 01 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოში აყვანილია კონკურსის გარეშე;

1. 2020 წლის 28 სექტემბრის ბრძანება #02-05102 „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ საავტორო - შემოქმედებითი გადაცემების სამსახურში შუადღის გადაცემის წამყვან-რეპორტიორის პოზიციაზე დაინიშნა გიორგი თებთაძე;
2. 2020 წლის 28 სექტემბრის ბრძანება #02-05/103 „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ საავტორო - შემოქმედებითი გადაცემების სამსახურში შუადღის გადაცემის წამყვანის პოზიციაზე დაინიშნა ნელი აგირბა-ძიმისტარიშვილი;
3. 2020 წლის 28 სექტემბრის ბრძანება #02-05/104 „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ საავტორო - შემოქმედებითი გადაცემების სამსახურში შუადღის გადაცემის წამყვანის პოზიციაზე დაინიშნა ნინო გორჯელაძე;
4. 2020 წლის 28 სექტემბრის ბრძანება #02-05/105 „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ საავტორო - შემოქმედებითი გადაცემების სამსახურში შუადღის გადაცემის წამყვან-რეპორტიორის პოზიციაზე დაინიშნა ზაალ ჩიხლაძე;



5. 2020 წლის 12 ოქტომბრის ბრძანება #02-05/112 „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ახალი ამბების სამსახურში მემონტაჟის პოზიციაზე დაინიშნა გიორგი ჯაში;
6. 2020 წლის 13 ოქტომბრის ბრძანება #02-05/113 „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ახალი ამბების სამსახურში სტილისტ-რედაქტორის პოზიციაზე დაინიშნა ხათუნა ქინქლაძე;
